#	დარღვევები	განმარტება	შენიშვნა
1	2	3	4
1	ფასადებზე ნაწილობრივ შეცვლილია დეკორატიული ელემენტები, მოპირკეთება, კარ-ფანჯრის ადგილმდებარეობა და გაბარიტი.	*კარ-ფანჯრის გაბარიტი არაა შეცვლილი. პროექტში მითითებულია სამშენებლო გაბარიტი. სავარაუდოდ, გაბარიტის ე.წ. ცვლილება განპირობებულია წირთხლების წალესობით.*	*გთხოვთ, მიუთითოთ რომელი დეკორატიული ელემენტები, მოპირკეთება შეცვლილი.*
2	დამატებულია წყალგადამყვანი და წყალშემკრები მილები.	ზოგადად, სახურავის მოწყობისას, ყოველთვის გათვალისწინებულია წყალგადამყვანი და წყალშემკრები მილები.	გთხოვთ, მიუთითოთ კონკრეტული ადგილი.
3	პარაპეტზე დამატებულია თუნუქის ფურცლები	პარაპეტზე თუნუქის ფურცლების მოწყობა გამოწვეულია ზედაპირული ნალექებისგან დასაცავად. ზოგადადად შენობის სხვადასხვა ელემენტებზე (პარაპეტი, კარნიზი, სანდრიკეი და სხვა კედლის სიბრტყიდან გამოწეული დეტალეი) ზემოთხსენებული პრობლემის აღმოსაფხვრელად გამოიყენება თუნუქის საფარველი.	
4	ნაწილობრივ შეცვლილია სახურავის სიმაღლეები.	სახურავის სიმაღლეების ცვლილება გამოიხატება იმაში, რომ სხვადასხვა დახრილობის მქონე სახურავის სიბრტყეების კვეთაზე მოწყობილია თუნუქის კარნიზი. ნახაზებზე მოცემულია ძირითადი ნიშნულები და არა დეკორატიული ელემენტების.	გთხოვთ, მიუთითოთ კონკრეტული ადგილი.
5	ასევე შეცვლილია თუნუქით შეფუთული ნაწილების ვიზუალური მხარე	მცირედი ცვლილება განიცადა მანსარდის სართულზე სამერცხლეების თუნუქით შეფუთვის გამო.	ხარვეზი გამოსწორდება.
6	-3.90 ნიშნულზე "3-3" და "ა-ა" ღერძების კვეთაზე კედელში დამატებულია საკომუნიკაციო მილი.	ე.წ. "საკომუნიკაციო მილი" მოწყობილია საკანალიზაციო ქსელის დასაერთებლად გარე ქსელთან. ამ ტიპის "საკომუნიკაციო მილი" არქიტექტურულ ნახაზზე არ დაიტანება.	
7	"გ-გ" ღერძზე კედელში დამატებულია ღიობები და ხვრელები.	ეს მცირე გაბარიტის ხვრელები და ღიობები მოწყობილია მომიჯნავე სივრცეთა სააერაციოდ და შენობის კონსტრუქციულ მდგრადობას არანაირ საფრთხეს არ უქმნის.	
8	-3.90 ნიშნულზე შეცვლილია სართულის გაბარიტი და კონფიგურაცია, ასევე შეცვლილია ფართი	შენობის კონსტრუქცია ასათიანის ქ-ის და ჩიხის მხარეს, შემოწეულია შენობის სირღმეში, რაც გამოიწვეულია ქუჩის მდგრადობის შენარჩუნების და ქუჩის საფარის ჩამოშლის თავიდან აცილების მიზნით. ეს ყოველივე დატანილია კონსტრუქციულ ნაწილში.	
9	+3.20 ნიშნულზე შეცვლილია აივნებისა და შუშაბანდის გაბარიტი, ასევე "8-9" მონაკვეთში	აივნების გაბარიტის ცვლილება დაფიქსირდა იმის გამო, რომ, საპროექტო დოკუმენტაციაში დატანილია აივნის	

	გაზრდილია +3.20 და +7.00 ნიშნულებს შორის მანძილი.	ფილის გაბარიტული ზომები. ინსპექტირებისას კი, აიღეს ფილის მოსაპირკეთებელი კარნიზისა და ხის შეფუთვის ჩათვლით.	
10	შეცვლილია კოლონებისა და რიგელების რაოდენობა, ასევე ნაწილობრივ შეცვლილია მათი ადგილმდებარეობა და გაბარიტი.	კოლონებისა და რიგელების სქემა ნაჩვენების კონსტრუქციულ ნაწილში. ცვლილებები დატანილი არაა არქიტექტურულ ნახაზებში, თუმცა დატანილია კონსტრუქციულ ნაწილში.	ხარვეზი გამოსწორდება.
11	შემცირებულია სართულშუა გადახურვის სისქე	სართულშუა გადახურვის ფილები კონსტრუქციულ ნაწილში მოცემულია 18 სმ. არქიტექტურულ ნაწილში მოცემულია არქიტექტურული ზომა, რაც მოიცავ იატაკის საფარველსაც.	
12	"1-1" ღერძზე 0.00 ნიშნულიდან დამატებულია კონსოლი	იხილეთ კონსტრუქციული ნაწილი და პუნქტი "8".	
13	ნაწილობრივ შეცვლილია შიდა კიბეების გაბარიტი, კონფიგურაცია და საფეხურების რაოდენობა.	მშენებლობის პროცესში კიბეებმა ნაწილობრივ განიცადა ცვლილება.	ხარვეზი გამოსწორდება.
14	ნაწილობრივ შეცვლილია გარე კედლების სისქე, ასევე შიდა ტიხრების რაოდენობა, ადგილმდებარეობა და ფორმა.	იხილეთ კონსტრუქციული და არქიტექტურული ნაწილი. დღეის მდგომარეობით ინტერიერში არ არსებობს ტიხრები.	
15	ნაწილობრივ შეცვლილია ტიხრებში მოწყობილი ღიობების ადგილმდებარეობა, გაბარიტი და რაოდენობა.	ტიხრები დღეის მდგომარეობით დამონტაჟებული არაა.	
16	ნაწილობრივ შეცვლილია საკომუნიკაციო შახტების გაბარიტი და ადგილმდებარეობა.	იხილეთ კონსტრუქციული და არქიტექტურული ნაწილი.	გთხოვთ, მიუთითოთ კონკრეტული ადგილი.
17	+7.00 ნიშნულზე დამატებულია ლითონისა და ხის კონსტრუქციები. ნაწილობრივ შეცვლილია პარაპეტების ფორმა და სიმაღლე.	ხარვეზი გამოსწორდება.	
18	პროექტში განსხვავებული ფაქტურით არ არის ნაჩვენები მონოლითური ბლოკის კედლები.	იხილეთ კონსტრუქციული ნაწილი. არქიტექტურულშიც გავითვალისწინებთ შენიშვნას,	